

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული ბანკი
აცხადებს კონკურსს ლოგოს დიზაინის შემუშავებაზე

1. მომსახურების პირობები

ა) მომსახურება მოიცავს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ლოგოს დიზაინის შექმნა;
- ლოგო უნდა გამოხატავდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მისიას და ღირებულებებს. დაწვრილებითი ინფორმაცია, ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ იხილეთ ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nbg.ge

2. საკონკურსო ვადები:

- ა) საკონკურსო წინადადებების მიღება იწარმოებს 2011 წლის 4 თებერვლის 10:00 საათიდან, 18:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი ლეონიძის ქ. N3/5, სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ მიიღება;
- ბ) წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქულ კონვერტში. კონვერტის მარკირება უნდა შეიცავდეს:
- კონკურსის დასახელებას;
 - კონკურსის მონაწილის დასახელებას ან სახელსა და გვარს.
- გ) კონკურსის მონაწილეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ლოგოს ესკიზის რამდენიმე ვარიანტი;
- დ) კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2011 წლის 15 თებერვლისა;

3. საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

- ა) ლოგოს ვარიანტების ესკიზებს ელექტრონული სახით. თითოეული ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე ფაილად;
- ბ) ლოგოს ვარიანტების ესკიზებს ფერადად ამობეჭდილი სახით (ფორმატი A4);
- გ) მოხსენებით ბარათს ძირითადი იდეის/კონცეფციის აღწერით;
- დ) კონკურსის მონაწილის სრულ რეკვიზიტებს;
- იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელებას, იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს, ხელმძღვანელის თანამდებობას, სახელსა და გვარს, საკონტაქტო ტელეფონებს, ელ. ფოსტის მისამართს, საიდენტიფიკაციო კოდს, სრულ საბანკო რეკვიზიტებს;

- ფიზიკური პირის ან ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში: სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონებს, ელ. ფოსტის მისამართს, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- ე) მომსახურების ფასს (ჰონორარს) ლარებში, რომელიც უნდა მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
4. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით:
- ა) წარმოდგენილი ესკიზის გამომსახველობით-მხატვრული დონე - 0,5;
 - ბ) წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისობა 1(ა) პუნქტის მოთხოვნებისადმი (გათვალისწინებული იქნება, თუ რამდენად სრულყოფილად ასახავს ესკიზი საქართველოს ეროვნული ბანკის მისიასა და ფუნქციას) – 0,3;
 - გ) მომსახურების ფასი – 0,2.
- გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე რომლის განაცხადი მიიღებს უმაღლეს ჯამურ შეფასებას.
5. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის არაუგვიანეს 10 დღის ვადაში გამოვლენიდან.